Georgische Zeitung „SAKARTHWELO“

საქართველო

N 10 (87) გამოც. მე-3 წელი. ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი ბერლინი. 5 მარტი, 1944 წ.

ჩვენი პროპაგანდისტები

საპროპაგანდო მუშაობას მოხალისეთა ნაწილებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. გერმანიის უმაღლესი სარდლობა ამ მეტად სერიოზულ საქმეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. რამდენიმე დღის წინათ პოტსდამში მოხდა ქართველი მოხალისე პროპაგანდისტების სკოლის პირველი გამოშვება. ფრონტიდან, ახალი ცოდნისა და გამოცდილების მისაღებად მოვიდა ჩვენი მებრძოლი ახალგაზრდობის ნაღები, მოწინავე ნაწილი, საუკეთესო კულტურული ძალა.

მოხალისეები ახლო გაეცვნენ გერმანელი ხალხის ცხოვრებას. ნახეს გერმანული საწარმოები, გლეხური მეურნეობანი, კულტურული და ისტორიული ძეგლები, ინახულეს თეატრები, მოისმინეს საინტერესო საუბრები ნაციონალ-სოციალისტური გერმანიისა და საერთოდ გერმანელი ხალხის ისტორიულ წარსულზე. კურსები მოხალისეებისათვის შესანიშნავი იყო იმ მხრივაც, რომ ისინი აქ იგონებდნენ მშობლიური ერის ისტორიასაც, წინაპრების გმირულ, ლეგენდარულ ბრძოლებს ეროვნული თავისუფლებისათვის.

ქართველმა პროპაგანდისტებმა გერმანელ ხალხში პირველყოვლისა დაინახეს მებრძოლი და ფანატიკური შეუპოვრობის გრძნობით აღსავსე სული, ერთსულოვნება და მონოლიტური ერთიანობა ნაციონალ-სოციალისტური პარტიისა და ფიურერის გარშემო. გერმანელ ხალხს კარგათ აქვთ შეგნებული დღევანდელი საკაცობრიო ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა და იგი მტკიცედ, შეურყეველი რწმენით განაგრძობს მას საბოლოო გამარჯვებამდე. ბოლშევიკური პროპაგანდის უდღეურობა და სიყალბე ყოველ ფეხის ნაბიჯზე სჩანს. ქართველი მოხალისეები, რომელთაც საკუთარი თვალით ნახეს გერმანელი მუშის ჭეშმარიტი შემოქმედი შრომა და ბედნიერი უზრუნველყოფილი ცხოვრება, გლეხის თავდადებული და სამშობლოსადმი ერთგულების გრძნობით აღსავსე მუშაობა, ხალხის მაღალი მებრძოლი უნარი და ორგანიზებულობა უკიდურესად მძიმე მდგომარეობის დროსაც კი, — დარწმუნებულნი არიან ახალი გერმანიის ძალაში. მტრების ლაყბობა და ხმაჩახლეჩილი ყვირილი გერმანელი ხალხის მორალური ერთიანობის შესუსტებაზე სიცრუეა, ყველა ვისაც კი უნახავს გერმანელი ხალხის ერთსულოვნება, განსაკუთრებით ამჟამად ომის მეხუთე წელს, მას დარჩენია მხოლოდ ერთი რამ სათქმელი — რა საშინელება და უბედურებაც არ უნდა მოუვლინონ გერმანიას მისმა მტრებმა, გერმანელი ხალხი, რომელსაც წინ მიუძღვის ფიურერი, შესძლებს მის არამარტო გადატანას, არამედ საკადრისს პასუხსაც მის მომწყობთა შესამუსრად.

საპროპაგანდო სკოლამ მდიდარი და მრავალმხრივი გამოცდილება მისცა ქართველ პროპაგანდისტებს. ეს მდიდარი გამოცდილება გადატანილი უნდა იქნას ჩვენს ცალკეულ საველე ათასეულებში, ასეულებში და ჯგუფებში. თვითეული მოხალისე უნდა გაეცნოს იმ საინტერესო ამბებს, რომელსაც ასე გულმოდგინეთ ისმენდნენ ჩვენი პროპაგანდისტები. იყო პროპაგანდისტი და მართალი სიტყვა შეგქონდეს მებრძოლი ამხანაგების წრეში მეტად საპატიო და პასუხსაგები მოვალეობაა. ამას უნდა გრძნობდეს თვითეული პროპაგანდისტი დაუბრუნდა რა თავის ნაწილს. ჩვენი საველე ათასეულები და ცალკეული ნაწილები, რომლებიც ასრულებენ საბრძოლო ამოცანას — გერმანელი ჯარისკაცის მხარდამხარ იცავენ ევროპას საერთაშორისო პლუტოკრატიისა და ბოლშევიზმისაგან, წარმოადგენენ ჩვენთვის სამშობლოს შემცვლელს. თვითეულ მოხალისეს უყვარს თავისი ნაწილი, უყვარს იმიტომ, რომ იგი მასში ხედავს მამულს. ეს გრძნობაა, რომ ასე თავგანწირვით აბრძოლებდა ქართველ მოხალისეებს აღმოსავლეთის ფრონტზე, ეს გრძნობაა, რომ აღომებს ევროპის ციხე-სიმაგრის საგუშაგოზე მდგარ ქართველ ახალგაზრდობას.

პროპაგანდისტების ამოცანაა: ნაწილში, სადაც ისინი ცხოვრობენ და მოღვაწეობენ აწარმოებდნენ მართალს, მგზნებარე საპროპაგანდო მუშაობას. უნმარტავდნენ ამხანაგებს მათთვის საინტერესო საკითხებს, გადასცემდნენ იმ მდიდარ შთაბეჭდილებებს, რომლებიც მათ მიიღეს კურსებზე მეცადინეობის დროს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველსა და გერმანელ ჯარისკაცს შორის მეგობრობის შემდგომი კიდევ უფრო განმტკიცებისათვის, საბრძოლო წარმატებათა ზრდისათვის.

პროპაგანდისტთა სკოლა დაასრულა 52 მოხალისემ.მართალია ეს რიცხვი მცირეა,მაგრამ გერმანიის უმაღლესი სარდლობის ხელმძღვანელობა-დახმარებით პროპაგანდისტთა რაოდენობა განუწყვეტლივ გაიზრდება. **ქართველი მებრძოლი ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილმა სიამაყით უნდა ატაროს პროპაგანდისტის სახელი და გულმოდგინედ იმუშაოს ამ საქმისათვის. ჩვენ გვწამს, რომ ქართველი პროპაგანდისტები გაამართლებენ დაკისრებულ მოვალეობას. ვუსურვებთ მათ ცხოველსა და ნაყოფიერს მოღვაწეობას.**



ქართველ მოხალისეთა ჯგუფი ათვალიერებს კულტურის ძეგლებს პარიზში

ქართველ მოხალისეთა დღესასწაული

22 თებერვალს ქართულ ლეგიონში ჩატარდა დიდი დღესასწაული, რომელიც მიძღვნილი იყო ჩვენი ლეგიონის დაარსების ორი წლისთავისადმი.

დილით მოეწყო მთელი ლეგიონის შემადგენლობა, რომელიც მიიღო ლეგიონის მეთაურმა, პოდპოლკოვნიკმა მახტსმა. მან დანაყოფების ჩამოვლის შემდეგ ქართველ მოხალისეებს მიჰმართა მოკლე საზეიმო სიტყვით, რომელშიც, სხვათა შორის, აღნიშნა:

„თქვენ უკვე იბრძოლეთ ჩვენს მხარეზე, დაგვიმტკიცეთ თქვენი ტრადიციული გმირობა და ვაჟკაცური ერთგულება. გახსოვთ, ის წარმტაცი წუთები, როდესაც ჩვენ კავკასიას მივაღწიეთ და საქართველოში უნდა შევსულიყავით? ყველა თქვენგანის გულში ჩაუქრობელ ცეცხლად ენთო სამშობლო მხარის ხილვის სურვილი, მაგრამ დაუმსახურებელი ბედის წყალობით ჩვენ დროებით უკან მოგვიხდა წამოსვლა. მიუხედავად ამისა, ჩვენ, გერმანელები ფანატიკოსი მებრძოლები ვართ და ჩვენი გამარჯვებით თქვენ საშუალება მოგეცემათ იხილოთ ეგზომ სანუკვარი თქვენი სამშობლო მხარე“.

ლეგიონის მეთაურის სიტყვის დასრულების შემდეგ მოეწყო სადილი. ნოყიერი საჭმელები და ფრანგული ღვინო ამშვენებდა ქართველი მოხალისის სუფრას.

საღამოს ჩატარდა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ძირითადმა გუნდმა ლეგ. შ. მ-ს ხელმძღვანელობით და ადგილობრივმა ორკესტრმა ლეგ. ვ. ბ-ს ლოტბარობით. მაყურებელს ამ დღეს სპეციალურად შერჩეული საზეიმო ჰუმორისტული ნომრებით წარუდგნენ მსახიობები დ-ძე და ქ-ია. მათმა გამოსვლამ განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია, როგორც ქართველ მოხალისეთა, ისე გერმანელ სტუმრებს შორის. კონცერტის შემდეგ გაშვებულ იქნა კინო-სურათი.

დღესასწაულის მეორე დღეს მოხდა მოწინავე ქართველ მოხალისეთა დაჯილდოება, რომელთაც თავიანთი სიმამაცით თავი ისახელეს როგორც ფრონტზე, ისე ზურგში საბრძოლო ამოცანების შესრულებისას.

მოხალისეთა ახალი გმირობა

გერმანულ ნაწილებში, რომლებმაც ჩერქასთან თავგანწირული და გმირული ბრძოლით გაარღვიეს ბოლშევიკური გარემოცვა, დიდის რაოდენობით იმყოფებოდნენ კავკასიელი მოხალისენი. საშინელი ბრძოლების დროს, როგორც მტერთან გადამწყვეტი შეტაკებებისას, ისე გარემოცვის რკალიდან გამოსვლისას მოხალისეებმა გამოიჩინეს სამაგალითო ამტანიანობა და შეურყეველი მებრძოლი სული.

მოხალისეების განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მორალური სიმტკიცე კრიტიკული მომენტების დროს, როცა ისინი უკანასკნელ კაცამდე და ვაზნამდე ებრძოდნენ მტერს, თავიანთ პოსტებზე. გარემოცვის შემთხვევაში, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქადდა თვითეულ ნაწილს, მოხალისეებმა კვლავ გამოამჟღავნეს გერმანელი ჯარისკაცისადმი ერთგულება და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ თავის მოკავშირესთან ერთად.

აღმოსავლეთის მოხალისეებმა ჩერკასთან ბრძოლაში ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს, წინათ მრავალჯერ დამტკიცებული გრძნობა ფიცის გამართლებისათვის. ჩერკასთან ბრძოლებმა კიდევ უფრო უძლეველი გახადეს კავკასიელი და გერმანელი ჯარისკაცების საბრძოლო კავშირი საერთაშორისო პლუტოკრატიისა და ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

იაპონელთა კონტრშეტევა

22 თებერვალს ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები შეეცადნენ აეღოთ მარიანის კუნძულები. იაპონიის საიმპერატორო მთავარსადგომი იუწყება, რომ 22 თებერვლის დილას მარიანის არქიპელაგის წყლებში გამოჩნდა ამერიკელთა 8 სამხედრო ხომალდი და ათი ავიამზიდი. იაპონიის საჰაერო ძალებმა დაუყოვნებლივ მიიღეს ზომები მტრის განადგურებისათვის. საღამოს იაპონიის ავიაცია დაესხა მათ თავს და თავდასხმით ბრძოლას განაგრძობდა 23 თებერვლის დილამდე. მძაფრი ბრძოლის შედეგად იაპონელებმა ჩასძირეს ამერიკელთა ერთი ავიამზიდი და სამი დიდი საბრძოლო გემი. ერთი ავიამზიდი ბომბებისაგან ძლიერ იქნა დაზიანებული.

გამოიყენეს რა წარსული ბრძოლების მდიდარი გამოცდილება, იაპონელები ამერიკელთა გემების ქარავანს დაესხნენ თავს მხოლოდ მაშინ, როცა მათი თვითმფრინავები ჯერ კიდევ იყვნენ გემების ბაქნებზე. ამერიკელთა ავიაცია მოუმზადებელი შეხვდა მოულოდნელ თავდასხმას და განიცადა უდიდესი ზარალი.

*

გერმანია-ფინეთის სავაჭრო ხელშეკრულება

18-26 თებერვლამდე ჰელსინგსფორსში მიმდინარეობდა მოლაპარაკება 1944 წელში საქონელბრუნვის შესახებ. მოლაპარაკება ჩატარდა მეგობრული განწყობილების ნიშნის ქვეშ და მიღწეული იქნა სრული შეთანხმება. გერმანიასა და ფინეთს შორის საქონლის გაცვლის რაოდენობა გათვალისწინებულია იმ მოცულობით, როგორიც ეს იყო 1943 წელს. ხელშეკრულება ხელს შეუწყობს ფინეთის ეკონომიურ ცხოვრების განმტკიცებას. ფინეთი მიაწოდებს გერმანიას თავისი მრეწველობის პროდუქციას.



მორიგი საბრძოლო გაფრენის წინ

ესტონელები ბოლშევიზმის წინააღმდეგ

ცნობილმა შვედმა სწავლულმა, სვენ ჰედინმა, დორპატის უნივერსიტეტის რექტორს ე. კანტს მიმართა წერილით. წერილში იგი სწერს იმ მჭიდრო კავშირის შესახებ, რომელიც ყოველთვის არსებობდა უნივერსიტეტსა და შვეციას შორის. ჰედინი მიუთითებს აგრეთვე იმ ყალბ აგიტაციაზე, რომელიც ეხლა სწარმოებს იმის დასამტკიცებლად, თითქოს ესტონეთი ნებაყოფლობით შეუერთდა საბჭოთა კავშირს. ყველასათვის ნათელია, რომ ბალტიის სახელმწიფოები არასოდეს არ ყოფილან საბჭოთა კავშირთან დაკავშირებულნი და ბოლშევიკებში ხედავდნენ თავიანთ სასიკვდილო მტრებს. სვენ ჰედინი გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ გერმანელი ჯარები შეაჩერებენ ბოლშევიკებს და ამით უზრუნველჰყოფენ ბალტიის ხალხების მომავალს.

დორპატის უნივერსიტეტის რექტორმა საპასუხო წერილში სვენ ჰედინს მისწერა: „შვეციის მეცნიერის მომართვა! — ნათქვამია წერილში, — ესტონელი ხალხისათვის წარმოადგენს დიდ მორალურ დახმარებას მათ ბრძოლაში არსებობისა და მომავლისათვის. დიდია საფრთხე, რომელიც ამჟამად ემუქრება ესტონეთს. 1918-20 წლებში, ესტონელები ერთხელ უკვე აწარმოებდნენ გამანთავისუფლებელ ბრძოლას და უკუაგდეს ბოლშევიკური საშიშროება! ეხლა მათი ლოზუნგია — „შორს ბოლშევიზმისაგან!“.

ბალტიის არცერთი სახელმწიფო არ შეერთებია ნებაყოფლობით საბჭოთა კავშირს. ამის საუკეთესო საბუთს წარმოადგენს ესტონეთში რამდენიმე ხნის წინათ ჩატარებული საყოველთაო მობილიზაცია და მოხალისეთა რაზმები, რომელნიც უკვე სამი წელია იბრძვიან აღმოსავლეთის ფრონტზე. ესტონელები თავიანთ ბრძოლაში მთლიანად უნდა დაეყრდნონ დიდ გერმანიას, რომელმაც აღმოსავლეთში შექმნა მძლავრი სასაზღვრო სიმაგრე, ეს სიმაგრე იცავს, არამარტო ესტონელთა და სხვა ბალტიის ხალხების სასიცოცხლო სივრცეს, არამედ ჩრდილოეთ ქვეყნებსაც და მთელ დასავლეთს. ესტონეთში უკვე არავინ მოსტყუვდება კრემლის „დემოკრატული“, შენიღბული მანევრებით. ყველასათვის ცნობილია რა ფასი აქვს ქაღალდზე დაწერილ გარანტიებს და რა ადვილია მათი დახევა“.

*

ბრძოლა კაროლინის კუნძულებისათვის

იაპონიის საიმპერატორო სადგომის ცნობით კუნძულ ტრუკზე, რომელიც ეკუთვნის კაროლინის კუნძულების ჯგუფს, გრძელდება ძლიერი თავდაცვითი ბრძოლა. იაპონელების მიერ ჩაძირულია ორი ამერიკული კრეისერი, ერთი მათგანი თავისი წყალწყვით შეიძლება ჩავთვალოთ დრედნოუტად. ერთი ავიამზიდი და სამხედრო გემი ძლიერ დაზიანებულია, ჩამოგდებულია აგრეთვე 54 თვითმფრინავი. მძიმე ბრძოლებში იაპონელებმა დაჰკარგეს რამდენიმე საბრძოლო გემი და თვითმფრინავი.

მდგომარეობა ფრონტებზე

(კვირეული მიმოხილვა)

თებერვლის უკანასკნელ დღეებში აღმოსავლეთის ფრონტზე გრძელდებოდა მძაფრი თავდაცვითი ბრძოლები. დნეპრისა და კრივოიროგის შორის, ბერეზინას სამხრეთით, როგაჩევის ჩრდილოეთით და ვიტებსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელებმა ძლიერი ბრძოლით უკუაგდეს ბოლშევიკების ყველა შემოტევა. ფრონტის შუა უბნის ზურგში გერმანიის დამცველმა ჯარებმა ფრანგ მოხალისეთა ლეგიონთან ერთად, გაჰფანტეს მსხვილი ბოლშევიკური ბანდები და მიაყენეს მათ უდიდესი ზარალი, როგორც ცოცხალი ძალის, ისე სამხედრო საჭურველის მხრივ. განადგურებულია ბანდიტთა 43 ბანაკი, 1,000 ბუნკერი და აგრეთვე მომარაგების პუნქტები.

აღმოსავლეთის ფრონტის ჩრდილო ნაწილის ზოგიერთ ადგილებში, გერმანელებმა წინასწარი გეგმის მიხედვით გეგმაზომიერად დაიხიეს უკან და დაიკავეს ახალი პოზიციები. პსკოვის ტბის აღმოსავლეთით და ნარვის რაიონში ბოლშევიკების ძლიერი შემოტევანი მოგერიებული იქნა მძიმე ბრძოლების შემდეგ.

ჰომელის ახლოს საბჭოთა ჯარები, გერმანელთა ძლიერი კონტრშეტევის შედეგად, იძულებულნი გახდნენ უკუქცეულიყვნენ. გერმანიისა და რუმინეთის საჰაერო ძალები კიროვოგრადის აღმოსავლეთით ბომბებს უშენდნენ ბოლშევიკების საარტილერიო პოზიციებს, ტანკებისა და ჯარის თავმოყრის ადგილებს. პირდაპირი მოხვედრის შედეგად დნეპრზე ჩაინგრა ერთი ხიდი.

ვიტებსკთან თავდაცვითი ბრძოლის მეორე ფაზის დამთავრებისას მოგერიებული იყო ბოლშევიკების მრავალრიცხოვანი შემოტევანი. ბოლშევიკების დანაკარგი აქ გამანადგურებელი აღმოჩნდა. გერმანელებმა მოსპეს რამდენიმე ასეული ბატარეა, რომლებიც საშუალოდ შესდგებოდნენ 10 ათასი ქვემეხისაგან. მტრის 1,073 საარტილერიო პოზიცია ჩაჩუმდა. ბრძოლაში მონაწილეობდა გერმანელთა 3.000 ქვემეხი.

ნეტუნოს რაიონში ინგლის-ამერიკელთა შემოტევანი უკუგდებულ იქნა გერმანელთა ძლიერი კონცენტრირებული ცეცხლით. შორსმსროლელი არტილერია ყუმბარებს ესროდა ანციოსა და ნეტუნოს ნავსადგურებს. 24 იანვრიდან 24 თებერვლამდე გერმანელებმა ნეტუნოს ხიდმისასვლელ სიმაგრესთან ბრძოლაში ხელთ იგდეს 5.721 ტყვე, გაანადგურეს 212 და დააზიანეს 21 ტანკი. 5 ტანკი და 40 ქვემეხი გერმანელებს დარჩათ როგორც სამხედრო ნადავლი. გერმანიის სადარაჯო გემებმა ჰავრის რაიონში მოიგერიეს და უკუაგდეს ბრიტანეთის სწრაფმავალი გემების მრავალრიცხოვანი შემოტევანი.

გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობებით თებერვლის უკანასკნელ დღეებში, გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ატლანტიკის ოკეანეში, ხმელთაშუა ზღვაში და ინდოეთის ოკეანეში ჩასძირეს მტრის 7 გემი, რომელთა საერთო წყალწყვა უდრის 35.185 ბრუტოტონას, გარდა ამისა ჩაძირულია აგრეთვე 11 სატვირთო იალქნიანი გემი და 2 გამანადგურებელი, 3 გემს მოხვდა ტორპედო.

სსრ კავშირს არ ჰყოფნის მუშახელი

შანხაიდან იუწყებიან, რომ თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისარმა უსტინოვმა რამდენიმე ხნის წინათ ჩაატარა საინსპექციო მოგზაურობა ურალის ქარხნებში. უსტინოვმა ქარხნებისაგან მოითხოვა ტანკებისა და ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების გამოშვების რაოდენობის გადიდება 20 პროცენტით. მაგრამ პროდუქციის გადიდება შეუძლებელია რადგან არ არის საკმარისი მუშახელი. ქარხნებს ამავე მიზეზით არ შეუძლიათ შეასრულონ არა მარტო ახალი გეგმა, არამედ ვერ აღწევენ გასულ წელში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის დონესაც კი. ბოლშევიკებმა ქარხნებში თავი მოუყარეს და მორეკეს ყველა დაჭრილი ოფიცერი და ჯარისკაცი, ომის ინვალიდი, რათა როგორმე შეავსონ მუშახელის ნაკლებობა.

*

სერბები და საბჭოთა კავშირი

ბელგრადიდან იტყობინებიან, რომ სერბების ნაციონალისტების ბელადმა დიმიტრი ლეტიჩმა ერთერთ კრებაზე განაცხადა სტალინის სურვილზე, სერბიის საბჭოთა რესპუბლიკათ გადაქცევის შესახებ. ორატორმა სტალინს უწოდა „თბილისის ბანდიტი“ და მიუთითა იმაზე, რომ სერბები ყოველთვის იყვნენ და ეხლაც რჩებიან ბოლშევიზმის შეურიგებელ მტრებათ. ლეტიჩმა ამასთანავე უარჰყო ინგლისისა და ამერიკის პროვაკაციული წინადადებანი და განაცხადა, რომ ომის შემდეგ სერბები თვითონ შესძლებენ მოაწყონ თავიანთი ცხოვრება და აირჩიონ ნამდვილად სახალხო მთავრობა.

შტურმის წინ

დასასრული

ძლიერი საზღვაო ფლოტის მქონე სახელმწიფოს შეიძლება ადვილად ეჩვენოს ნორვეგიასა და დანიას შორის გზის გადაჭრა. მიუხედავად სანაპირო სიმაგრეებისა და სამხედრო გემების ცეცხლისა, აგრეთვე მინის ლობეებისა, მოწინააღმდეგემ შეიძლება მართლაც სცადოს დესანტის გადმოსხმა კატეგატზე და სკაგერაკზე? ამ გზის ხანგრძლივად ფლობა მოასწავებს იმას, რომ მტერს სისტემატურად მოუხდება დიდი დანაკარგის გაღება. მხოლოდ იუტლანდიის ნახევარკუნძულის მთლიანი ოკუპაციითაა შესაძლებელი აღნიშნული წამოწყების წარმატება. ეს კი თავის მხრივ მოითხოვს დიდი მასშტაბის ახალ სადესანტო ოპერაციებს.

დანიაში დესანტის გადმოსხმა წარმოადგენს სარისკო საქმეს. 550 კილომეტრი იუტლანდიის ნაპირებამდე, სატრანსპორტო გემმა შეიძლება დაჰფაროს მხოლოდ 24 საათში, სამხედრო გემმა — 10-12 საათში. გარდა ამისა სანაპიროებზე იმყოფებიან გერმანიის დაცვითი სისტემის მთელირიგი დასაყრდენი წერტები. ოპერაციებს აქ ხელს შეუშლის აგრეთვე, სამხრეთ ნაწილში — ნაპირების მიუდგომლობა, ხოლო ჩრდილოეთით — ზღვის ძლიერი დინება.

ლამანშის ნაპირი ეჭვს გარეშეა წარმოადგენს მეტად შესაფერ ბუნებრივ ადგილს დესანტისათვის. სრუტის სიგანე, ყველაზე ვიწრო ადგილს დუვრ-კალესთან მხოლოდ 36 კილომეტრია.

დარტყმას ხელს უწყობენ აგრეთვე ზღვის დაბალი ნაპირები და მრავალრიცხოვანი ნავსადგურები. მაგრამ, ეხლა უკვე საყოველთაოდ ცნობილია, რომ სწორედ ლამანშის ნაპირებია გამაგრებული სხვა ადგილებზე მეტად. უკვე ყველამ გაიგო ატლანტიკის სიმაგრის შესახებ, თავისი 6000 ქვემეხით, ბლინდაჟებით, დასაყრდენი წერტებით, შორსმსროლელი ქვემეხებით, დამინული ველებით, ნაპირების გასწვრივ და ნავსადგურების ირგვლივ მოწყობილი მავთულხლართებით და ბოლოს სტრატეგიულ ადგილებში მზადმყოფი გერმანული დივიზიებით.

ჯერჯერობით არ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ შემოჭრა სახელდობრ აქ, ლამანშზეა მოსალოდნელი. მაგრამ, სიცილიის, პალერმოს, ატლანტიის კუნძულებისა და სხვა მსგავსი ოპერაციების გამოცდილებებიდან შეიძლება ზოგიერთი დასკვნა გავაკეთოთ. დიეპის დესანტმა გვაჩვენა, რომ ტანკების და საიერიშო ქვემეხების სადესანტო გემებით მოტანა და ნაპირზე გადმოტვირთვა არც ისე ადვილი საქმეა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლამანშის სანაპიროებს იცავენ გერმანელი ჯარისკაცები და არა მარშალი ბადოლიოს ნაწილები, როგორც ეს იყო სამხრეთ სიცილიაში.

მოწინააღმდეგე მრავალი კვირისა და თვის განმავლობაში, სცდილობს ავიაციით დაანგრიოს დასაყრდენი წერტები და სხვა სამხედრო ნაგებობანი. ინგლის-ამერიკელებს იმედი აქვთ, რომ მიაღწევენ უპირატესობას ჰაერში, რაც წარმოადგენს აუცილებელ პირობას ოპერაციის დასაწყებათ. მაგრამ მტერი არ არის დარწმუნებული, რომ ოპერაციის მომენტში შეინარჩუნებს ამ უპირატესობას. ისინი გამოსთქვამენ მრავალ აზრს, იმის შესახებ, თუ რამდენი გამანადგურებელი ჰყავს მომარაგებული გერმანიის სარდლობას შემოჭრის შემთხვევისათვის. სიცილიისა და ახალი გვინეის გამოცდილების და აგრეთვე მოწინააღმდეგეთა განცხადებების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სადესანტო ოპერაციებში მეორე მთავარი ფაქტორი არის, პარაშუტისთა დიდი შენაერთების და სხვა საჰაერო სამხედრო ნაწილების მონაწილეობა, აგრეთვე ჰაეროდრომების აღება. გარდა ამისა შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ისევე, როგორც სალერნოსთან, სოლომანისა და ჯილბერტის კუნძულებზე, აქაც გათვალისწინებულია სამხედრო ფლოტის დიდი გემების მონაწილეობა ოპერაციაში. გემებმა უნდა ისროლონ სპეციალური დამკვირებლების მითითებებით, რომლებიც უკვე დაინიშნენ. ინგლის-ამერიკელები აპირებენ დესანტის გადმოსხმას არამარტო დაბალ სანაპიროებზე, არამედ ნორმანდიისა და ბრეტანის კლდოვან ციცაბო ნაპირებზეც. ამას ამტკიცებს ის, რომ მტერმა რამდენჯერმე ახსენა საშტურმო კიბეები და მთებში სასიარულო სხვა მოწყობილობა. ჩვენთვის ცხადია, რომ სადაც არ უნდა იყოს დანიშნული დესანტი, მასში დიდ როლს ითამაშებენ საჰაერო სადესანტო ნაწილები. ამ ნაწილებმა გერმანელთა ზურგში უნდა შეაჩერონ დამკვრელი ჯგუფების წინსვლა და მიიტანონ იერიში სანაპიროების დაცვაზე ზურგიდან. ასევე დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მტერი გამოიყენებს ყოველგვარ სამხედრო ხრიკს, იმისათვის, რათა წინასწარ არ გამომჟღავნდეს გადმოსხმისათვის დანიშნული მთავარი ადგილი.

გერმანია მშვენივრად არის შეიარაღებული და მომზადებული ყოველგვარი შესაძლებლობისთვის ევროპის სანაპიროს ყველა ფრონტზე. გერმანელი ჯარისკაცი და მისი იარაღი, დიდი ხანია უკვე რაც გამოიწრთო სასტიკ ბრძოლებში. მოწინააღმდეგის მკვეხარა რახა-რუხს გერმანია უპირისპირებს სიჩუმეს და მხოლოდ გაკვრით ახსენებს, რომ მას აქვს მთელირიგი შესაძლებლობანი. დრო გვაჩვენებს, სახელდობრ სად გამოიყენებს გერმანული სარდლობა მის განკარგულებაში მყოფ საშუალებებს და როდის გამოიყენებს —მტრის შემოჭრამდე, მის დროს, თუ შემდეგ. თავის დროზე გამოჩნდება აგრეთვე, შესძლებს თუ არა საბჭოთა არმია ერთხელ კიდევ გაადიდოს თავისი დაძაბულობა, ან და დაიწყება თუ არა ხმელთაშუა ზღვაში ახალი გამოცოცხლება ყველა ოპერაციების შესათანხმებლად. ეჭვი არ არის, რომ მტერი, ევროპაში შემოჭრით, მთელ თავის მდგომარეობას სდებს სასწორზე. ამ შემოჭრის ჩავარდნა გამოიწვევს ისეთ გარდატეხას ომის მსვლელობაში, რომლის შედეგების წინასწარი განსაზღვრაც ჯერ შეუძლებელია.

ყველაფერი ეს გერმანელი ხალხისათვის წარმოადგენს მიზეზს, იმისათვის, რათა უკიდურეს შესაძლებლობამდე დასძაბოს თავისი ფიზიკური და სულიერი ძალები.

ლაპარაკობენ ქართველი პროპაგანდისტები

დიადი შთაბეჭდილება

პროპაგანდისტი რ. შ.

მეცადინეობის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კულტურულ გართობას. საცხოვრებელ შენობაში გვქონდა საუკეთესოდ მოწყობილი დარბაზი. აქ, იპოვიდით მრავალგვარ წიგნებს, ჟურნალებს, სათამაშოებს... მეცადინეობის შემდეგ, თავისუფალ დროს მოხალისეები აქ მოვიყრიდით თავს, ვისმენდით რადიოგადაცემას, ვმღეროდით საყვარელ ქართულ სიმღერებს. სისტემატურად ვესწრებოდით კინოსურათებს. „შრომის ფრონტის" შენობაში ვნახეთ მეტად საინტერესო ფილმები გერმანელი ხალხის მუშაობაზე და ცხოვრებაზე. კარგი იყო აგრეთვე ფილმი რაიხსნერშტატშიც.

პოტსდამის თეატრში ჩვენ ვნახეთ მშვენიერი დადგმა — გერმანიის არმიის ბრძოლის შესახებ. კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე განსაკუთრებით „ვინტერგარტენის" ესტრადის თეატრმა. მიუხედავათ იმისა, რომ ომია, გერმანიაში თეატრალური კულტურა და ხელოვნება მაინც მაღალ საფეხურზე დგას. გერმანული ფილმები გახთქმულნი არიან მთელს ევროპაში და სარგებლობენ დიდი პოპულარობით. მივდივართ რა ნაწილებში, ჩვენ მიგვაქვს დიადი შთაბეჭდილება გერმანელი ხალხის უძლეველობაზე.

ბედნიერი ცხოვრება

პროპაგანდისტი მ. ჯ.

საბჭოთა კავშირში დღენიადაგ გვეჩიჩინებოდნენ იმაზე, რომ გერმანიაში მუშა ცუდათ სცხოვრობს, განიცდის არაადამიანურ ექსპლოატაციას, სცხოვრობს სადღაც გარეუბნებში ნესტიან სარდაფებში... სინამდვილეში ჩვენ სულ სხვა ვნახეთ. მე ამხანაგებთან ერთად ვნახე ერთი გერმანული საწარმო, ვესაუბრე მის ოსტატს, მან სიხარულით გადმომცა ქარხნის მთელი ისტორია. ჩვენ ვათვალიერებდით ქარხანას... სუფთა საამქროები, რთული მანქანები, მუშებისათვის საუკეთესო სასადილო, დასასვენებელი დარბაზი, გარეთ ბაღჩები, — ერთი სიტყვით მშვენიერი სანახავია ქარხანა. კურსების ხელმძღვანელებმა გვაჩვენეს ამ ოსტატის ბინა. მისი დაწვრილებითი აღწერა შორს წაგვიყვანდა. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ასე ბედნიერად და ადამიანურად საბჭოთა კავშირში არ სცხოვრობდა ქარხნის მთავარი ინჟინერი ან დირექტორიც კი.

ოსტატის ოჯახი ყოველმხრივ უზრუნველყოფილია. იგი ენთუზიაზმით მუშაობს საყვარელ საქმეზე და გრძნობს, რომ ამით ემსახურება სამშობლოს. ჩავალ რა ნაწილში, მე მინდა მეგობრებს პირველყოვლისა უამბო გერმანელ მუშის ცხოვრებაზე.

შეხვედრა

აღფრთოვანებით ჩატარდა ქართველ პროპაგანდისტთა სკოლის გამოშვება. საზეიმო საღამოზე, პოტსდამის სასტუმრო „ობელისკის" დარბაზში მოწვეული იყვნენ გერმანიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები, ქართული საკავშირო შტაბის ხემძღვანელი მუშაკები, ქართველი მამულიშვილები. შეხვედრა გახსნა კურსების ხელმძღვანელმა უფროსმა ლეიტენანტმა ნოენკირხენმა, მან ილაპარაკა საპროპაგანდო მუშაობის მნიშვნელობაზე მოხალისეთა ნაწილებში და აღნიშნა კურსების როლი ამ საქმეში. შესავალ სიტყვას, მოჰყვა ქართულ ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილ დ. კავსაძის მომღერალი გუნდის გამოჩენა, რომელმაც შეასრულა „სამშობლო".

მოხალისე პროპაგანდისტებს მიესალმნენ გ. მაღალაშვილი (ქართული საკავშირო შტაბი) და ტ. მარგველაშვილი (ბერლინის ქართული კოლონიის თავმჯდომარე). გუნდმა შესანიშნავად იმღერა ჩვენი ეროვნული ჰიმნი „დიდება". მსახიობმა მ. მ-ლმა წაიკითხა გელას მონოლოგი „პატარა კახიდან". ალ. ასათიანი, ქართული ტრადიციის თანახმად ილებს სადღეგრძელოს გერმანელი და ქართველი ხალხის მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

გუნდმა შეასრულა უკვდავი ქართული სიმღერები: „სულიკო", „სიყვარული არ იქნება ძალათა", „სიმღერა თერგზე" და სხვ. ამ სიმღერებმა ქართველ მოხალისეებს მოაგონეს საყვარელი სამშობლო. დარბაზში დიდი აღზნება გამოიწვია მოცეკვავეთა გამოჩენამ. სტუმრებს განსაკუთრებით მოეწონათ ქართველი ქალის, მ. კერესელიძის ცეკვა. ქართველმა მოცეკვავეებმა სტუმრებს აჩვენეს მთიულური ცეკვაც.

ახალგაზრდა პოეტმა, მოხალისე კ. რაჭველმა პათოსით წაიკითხა „პოეტის მრწამსი". მოხალისეებმა წარმოსთქვეს პატრიოტული გრძნობით გამთბარი სიტყვები. მოხუცი საზოგადო მოღვაწე გ. დიასამიძე გულმხურვალედ მიესალმა ახალ თაობას და უსურვა გამარჯვება სამშობლოსათვის ბრძოლაში. შესანიშნავი იყო გერმანიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლის პოლკოვნიკ ბლუგეს სიტყვა: „თქვენი სტუმრობით, — სთქვა მან, — დიდი სიხარული განვიცადე. მე, როგორც გერმანელს, დღეს მქონდა საშუალება გავცნობოდი თქვენს კულტურას. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ მსოფლიოში არ მოიძებნება მეორე ისეთი ერი, რომელიც გერმანელ ერსავით დააფასებს თქვენს კულტურას. ჩვენ საერთო ბრძოლაში ერთმანეთთან ვართ დაკავშირებულნი კულტურისა და ცივილიზაციის მტრების წინააღმდეგ. დეე, ამ დიდი ბრძოლის შემდეგ გერმანელ ხალხს ეთქვას, რომ ჩვენი საუკეთესო მოკავშირე იყო ქართველი ერი".

შეხვედრა საზეიმო განწყობილებით ჩატარდა.



მხნე ნაბიჯით და ვაჟკაცური სიმღერით მიდიან ქართველი პროპაგანდისტები ქალაქისაკენ

შემოქმედი შრომა

პროპაგანდისტი ვ. თ.

მეგობრებთან ერთად მეც წილად მხვდა ბედნიერება გავცნობოდი გერმანიის ცხოვრებას. კურსებზე მეცადინეობამ თვითეული ჩვენგანი აღჭურვა ახალი ცოდნითა და გაუხსნა გზა სალი აზროვნებისათვის. ბოლშევიკური პროპაგანდის სიყალბეს გერმანელი ხალხის ცხოვრებაზე, ჩვენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებოდით. ჩვენ ვნახეთ გერმანული საწარმოები, თავისი ტექნიკით, შრომის მოყვარე ადამიანებით; ვინახულეთ ლამაზი და სანიმუშოდ მოწყობილი მუშათა უბნები, გავეცანით გერმანელი გლეხის ცხოვრებას. ყველგან ვხედავდით ნამდვილ შემოქმედ შრომას, ადამიანის თავდადებასა და სიყვარულს თავისი სამშობლოსადმი.

ომის მეხუთე წელსაც გერმანელი ხალხი რაინდულად სძლევს ყველა დაბრკოლებას. ნაციონალ-სოციალისტური წყობილება, რომელმაც ყველაფერი გააკეთა გერმანელი მშრომელი ხალხის ბედნიერი ცხოვრებისათვის, განუწყვეტლივ ზრუნავს ხალხზე და სამშობლოზე. მთელი გერმანელი ერი შემჭიდროებულია ვით დუღაბი, იბრძვის თავისი ჯარისკაცის გვერდით საბოლოო გამარჯვებისათვის.

საამაყო სახელი

პროპაგანდისტი ნ. ჩ.

პროპაგანდისტთა კურსებზე მეცადინეობის დღეები თვითეული ჩვენგანისათვის მარად დაუვიწყარი იქნება. გერმანიის სარდლობამ ჩვენ, ქართველ მოხალისეებს სერიოზული და საპატიო მოვალეობა დაგვაკისრა, ვაწარმოოთ სააგიტაციო მუშაობა ჩვენს ნაწილებში.

ყველა ჩვენგანი გრძნობს ამ საქმის სერიოზულობას და დაუღალავად იმუშავებს იმისათვის, რათა ნდობა გაამართლოს. ფრონტზე მყოფი ჩვენი ამხანაგები სიხარულით მოისმენენ საინტერესო ამბებს, რომელთაც ჩვენ მათ გადავცემთ. ისინი კიდევ უფრო ღრმად განიმსჭვალებიან გერმანელ ჯარისკაცთან მტკიცე მეგობრობის გრძნობით. ბევრი რამ ვნახეთ და შევისწავლეთ კურსებზე ყოფნისას, მას ჩვენ წარმატებით გამოვიყენებთ საპროპაგანდო მუშაობაში.

მოხალისე პროპაგანდისტები კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავენ იმ გულმოდგინე მზრუნველობას, რომელსაც კურსების ხელმძღვანელები იჩენდნენ სწავლების პერიოდში. თვითეულ ჩვენგანს ყველა პირობა ჰქონდა ემეცადინა წარმატებით და დაესვენა კულტურულად.

მივდივართ რა ნაწილებში, ჩვენ მიგვაქვს წარუშლელი შთაბეჭდილებანი გერმანელი ხალხის ცხოვრებაზე. პროპაგანდისტის საამაყო სახელს თვითეული ჩვენგანი ატარებს ღირსეულად.

ახალი ენერგიით

პროპაგანდისტი რ. ხვამლელი

თებერვლის დღეა. პოტსდამში სიხარულით მოიყარეს თავი ქართველმა მოხალისეებმა. მოვიდა ჩვენი მებრძოლი ახალგაზრდობის ნაღები, ახალი ცოდნის მისაღებათ. ისინი მოვიდნენ შორეული ატლანტიკიდან, ჰოლანდიის სანაპიროებიდან, საფრანგეთიდან, იტალიის ფრონტიდან რათა გაეცნონ გერმანელი ხალხის ცხოვრებას. რა აღტაცებული უამბობდნენ ისინი ამბებს ერთმანეთს თავიანთი ნაწილების ცხოვრებაზე? რა გულმხურვალე სიყვარულის გრძნობით იყო გამთბარი შეხვედრა?!..

კურსების ხელმძღვანელობა აღფრთოვანებით მიეგება პროპაგანდისტ მოხალისეებს. მოაწყო მათთვის საუკეთესო ბინები, კულტურული გართობა... დაიწყო მეცადინეობა. პირველ დღეს პროპაგანდისტებმა დაათვალიერეს „სანსუსის" შესანიშნავი პარკი, გაეცნენ მის საინტერესო ისტორიას. გერმანიის კულტურული ძეგლების, მრეწველობის, ტექნიკის და ხალხის ცხოვრების გაცნობასთან ერთად პროპაგანდისტები ისმენდნენ მათთვის საინტერესო ლექციებს. „საშუალო საუკუნეების ქართულ კულტურაზე" მათ ლექცია ჩაუტარა ი. მანწკავამ. მოხალისეებმა მოისმინეს დ. საღირაშვილის საუბარი ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობის შესახებ 1921 წელს, რომელმაც მრავალი საყურადღებო ფაქტი და პირადი მოგონება გადასცა მათ.

9 თებერვალს მოხალისეებმა დაათვალიერეს გერმანელ ოსტატის ოტო ბარმანის პურის მექანიკური საცხობი, შემდეგ ინახულეს გერმანული ჯარის ყაზარმები, გაეცნენ ჯარისკაცების ცხოვრებას. ყაზარმების წინ ლამაზი ბაღჩებია, დარბაზები სუფთაა, ყველგან იგრძნობა სიფაქიზე. საღამოს პროპაგანდისტებმა მოისმინეს უფროსი ლეიტენანტის ნოენკირხენის ლექცია გერმანიის ისტორიული წარსულის შესახებ.

მეორე დღეს პროპაგანდისტებთან სასაუბროდ მოვიდნენ მცხოვანი ქართველი მოღვაწე გ. დიასამიძე და რ. გაბაშვილი. აი, მოხალისეების წინ დგას მოხუცი, მის თავზე მერვე ათეულ წელს დაუთოვია. ახალგაზრდებისაკენ მიპყრობილი მისი აცრემლებული თვალები ლაპარაკობენ მის ძლიერ სურვილზე — უკანასკნელად დახუჭოს თვალები ზურმუხტოვან საქართველოში. აკაკის თანამოკალმე მოხუცი ებაასა მოხალისეებს ჩვენი ეროვნული ცხოვრების ვითარებაზე მე-19 საუკუნეში. კარგი იყო რ. გაბაშვილის ლექცია „რუსთაველი და სერვანტესი".

ზონდერფიურერმა როტშევიცმა პროპაგანდისტებს ესაუბრა გერმანელი ხალხის ცხოვრებაზე. განსაკუთრებით საინტერესო იყო საუბრები თანამედროვე ომის მიზეზების და მტრის ძალების შესახებ, რომელიც ჩაატარა ვ. ნოზაძემ. ნასადილევს ჯგუფი გაემგზავრა ერთერთი საბავშვო ბაღის სანახავად. არაჩვეულებრივი სისუფთავე, მზიანი დარბაზები, დედობრივი ზრუნვა ბავშვებზე — აი, რა ნახეს პროპაგანდისტებმა იქ. შინ დაბრუნებისას მათ მოისმინეს საუბარი გერმანიის სოფლის მეურნეობაზე, გაეცვნენ პროდუქციის ზრდას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის აღმავლობას, გლეხურ მეურნეობათა ორგანიზაციის პრინციპებს.

ახალ გერმანიაში გლეხი საპატიო ადამიანია. ნაციონალ-სოციალისტური პარტია და ხელისუფლება განუწყვეტლივ ზრუნავს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. გერმანელი გლეხი თავისი მეურნეობის ნამდვილი ბატონ-პატრონია და მუშაობს რა საკუთარ მიწაზე, რომელიც მას მემკვიდრეობითი წესით მიუღია, ამით ამდიდრებს ოჯახს, აძლიერებს სახელმწიფოს. მთავრობის მთელირიგი ღონისძიებანი მიმართულია იქითკენ, რათა გლეხს მეტი დახმარება და მზრუნველობა აღმოუჩინოს. გერმანელი გლეხი ცხოვრობს ნამდვილი შემოქმედი, თავისუფალი შრომით. მის მძიმე მუშაობას მინდორზე ხალისს აძლევს საპატიო მოვალეობა საყვარელი ერისადმი. გერმანიის სოფლის მეურნეობა განუწყვეტლივ მიდის წინ. გლეხის, როგორც კერძო მწარმოებლის როლი კი არ მცირდება სახელმწიფოს ინტერესების გამო, არამედ პირიქით მაღლდება. პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები ემსახურებიან ერთ საქმეს, ესაა — სამშობლო.

გაეცნენ რა გერმანელი გლეხის ცხოვრებას, პროპაგანდისტებმა მოიგონეს წყეული და მშრომელი გლეხკაცობის დამმონებელი საკოლმეურნეო წყობილება. კოლმეურნეობა გლეხობის ეს ძარცვა-გლეჯის აპარატი, სპობს გლეხს, როგორც კერძო მწარმოებელს და აქცევს მას საკოლმეურნეო მონად. საბჭოთა გლეხისათვის მიწაზე მუშაობა ტანჯვაა, იმიტომ რომ მან იცის მიწა მას არ ეკუთვნის, ნაშრომი სხვას მიაქვს. აი ორი მაგალითი — ორი ქვეყანა. იქ საბჭოთა კავშირში გლეხი მშიერი მონაა, აქ ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიაში საპატიო და ყველასათვის საყვარელი ადამიანი.

პროპაგანდისტები მოუთმენლად ელოდნენ გერმანიის დედაქალაქის ნახვას. მიუხედავად იმისა, რომ ინგლის-ამერიკელმა საჰაერო ყაჩაღებმა ბევრი ძვირფასი კულტურული ძეგლი დაანგრიეს, ბერლინი მაინც მიმზიდველია. მოხალისეებმა ნახეს ქალაქის ცენტრი, ისტორიული ადგილები. გზაში ისინი ხვდებოდნენ გერმანელ ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს, მამაკაცებს — მათ სახეზე ომის სიმძიმეს კვალი ვერ დაუმჩნევია. ბერლინი — გერმანიის ეს მფეთქავი გული მამაცურად იტანს მტრის ყველა თავდასხმას და უპასუხებს მას მეტი ორგანიზებულობით.

კურსებმა ბევრი რამ ახალი შესძინა მოხალისე პროპაგანდისტებს. ისინი ახალი ცოდნითა და ენერგიით აღჭურვილნი დაუბრუნდებიან თავიანთ ნაწილებს, რათა მართალი სიტყვა და ის წარმტაცი შთაბეჭდილებანი, რომელიც მათ აქ მიიღეს, გადასცენ თავიანთ ამხანაგებს. მოხალისე პროპაგანდისტები ამ შთაბეჭდილებას მიიტანენ თვითეულ ჯარისკაცამდე, უამბობენ მას გერმანელი ხალხის შეურყეველ, ფანატიკურ რწმენაზე იბრძოლოს მტრების წინააღმდეგ საბოლოო გამარჯვებამდე. ქართველი პროპაგანდისტები, გერმანელ ჯარისკაცის მებრძოლი მეგობრები, სიმართლეს გერმანიის შესახებ გადასცემენ თავის ძმებს. ეს კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს საბრძოლო მეგობრობას და აღგვაგზნებს ახალი წარმატებათა მოსაპოებლად.

იცით თუ არა თქვენ?

...რამდენი ვარსკვლავია ცაზე? უიარაღო თვალით, უმთვარო ნათელ ღამეში, შეიძლება დავითვალოთ სამი ათასამდე ვარსკვლავი. ტელესკოპით, რომლის დიამეტრი 2,5 მეტრია 2 მილიარდზე მეტი ვარსკვლავი სჩანს. ეს ნიშნავს, რომ ცაზე დაახლოებით იმდენივე ვარსკვლავია, რამდენიც დედამიწაზე ხალხი. სარტყელი, რომელიც ნათელ ზოლივით გასდევს ცის თაღს როგორც ვეებერთელა სპირალური ნისლოვანება, აგრეთვე წარმოადგენს ვარსკვლავების უზარმაზარ შეჯგუფებას. მეცნიერთა აზრით მასში 30.000 მილიონამდე ვარსკვლავია. თანამედროვე დიდი ტელესკოპით ამასთანავე ერთად შესაძლებელია კიდევ ვარსკვლავების იმავე სახის ორ მილიონამდე შეჯგუფების დანახვა. ტელესკოპის მზერის ფართობის ყოველ გაუმჯობესებას მივყევართ სულ უფრო შორს მსოფლიო სივრცეში და ადამიანის წინაშე წარმოიშობიან ვარსკვლავების ახალი მირიადები. თვითეული ვარსკვლავი თავის მხრივ წარმოადგენს მზეს, რომელიც ორ მილიონჯერ მეტია დედამიწაზე.

რომ გერმანიის ხელისუფლებამ თავის თეთრი წიგნებით დაამტკიცა მოკავშირეთა დანაშაული ამ ომში? ეს წიგნები, თავისი შინაარსით წარმოადგინენ იმ სხვადასხვა დიპლომატური ნოტების, მოხსენებების, დასმენების და სხვა ამგვარი დოკუმენტების კრებულებს, რომლებიც გერმანიის მიერ აღებულ ტერიტორიებზე დასტოვეს იქიდან სასწრაფოდ გაქცეულმა უცხოელმა დიპლომატებმა. ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში ყველა მასალა საგარეო პოლიტიკის განსაკუთრებულ საკითხებზე ქვეყნდებოდა ეგრეთწოდებულ ფერად წიგნებში. თვითეული ცოტათ თუ ბევრათ ძლიერი სახელმწიფო თავისი სურვილით ირჩევს ფერს ასეთი წიგნის ყდისათვის. ეს ფერი შემდეგში ხდება ტრადიციულ ფერად. ასე მაგალითად, გერმანიის თეთრი წიგნების მსგავსად, ინგლისში იბეჭდება ცისფერი წიგნები, საფრანგეთში — ყვითელი და ა. შ.

...როგორ შეიძლება გრამის მემილიონედი ნაწილის გაზომვა? ასეთი მცირე წონის წარმოდგენაც კი ძალიან ძნელია. მაგრამ მიუხედავათ ამისა მეცნიერები ხშირად სარგებლობენ მსგავსი სიდიდეებით. ქიმიაში, მფეთქადი ნივთიერებების მისაღებად ცდების წარმოების დროს, ზოგიერთი მიზნებისათვის საჭირო ხდება უმცირესი სიდიდეების ხმარება. ეს სიდიდეები ქიმიაში იზომებიან მიკროგრამებით. ასეთი უმნიშვნელო წონის გასაზომათ გერმანელმა მექანიკოსებმა გამოიგონეს ეგრეთწოდებული ულტრასასწორი. ამ სასწორით შეიძლება აიწონოს სხეული 30 გრამამდე, გრამის მეათმილიონედის სიზუსტით. წონის ზუსტი ათვლისათვის სასწორს გაკეთებული აქვს სპეციალური ოპტიკური მოწყობილობა.

*

ხალხი, რომელმაც არ იცის რა არის ომი

ასეთი ხალხი მართლაც არსებობს. მათ სრულებით არ იციან რა არის ომი. ამით ისინი უარჰყოფენ იმ ფრიად გავრცელებულ აზრს, თითქოს ომი იყოს ბიოლოგიური ანუ ბუნებრივი აუცილებლობა. ესენი არიან ესკიმოსები. მათ შესახებ შეიძლება წავიკითხოთ საკმაოდ სახელმოხვეჭილი წიგნი — „ესკიმოსთა ცხოვრება", რომელიც ეკუთვნის არქტიკის ცნობილ მკვლევარს ფრიტიოფ ნანსენს.

ამ მშვიდობისმოყვარული ხალხისთვის ცნება ომი არა თუ უცხოა, არამედ მათ ენაზე არ მოიპოვება ომის შესატყვისი სიტყვაც კი. მორალი და მშვიდობისმოყვარეობა ამ ხალხისა, არ ეყრდნობა რელიგიოზურ საფუძვლებს. ისინი ქრისტიანები არ არიან და საერთოდ მათ არა აქვთ არავითარი რელიგია, იმ გაგებით, როგორც ეს ჩვენ გვესმის. ეს მშვიდობისმოყვარეობა აიხსნება უმთავრესად იმ გარემოებით, რომ მკაცრ კლიმატურ პირობებში, მათი არსებობა დამოკიდებულია იმ დახმარებაზე, რომელსაც ისინი ერთმანეთს უწევენ. მართლაც ყინულოვანი უდაბნოები, სადაც ესკიმოსები ბინადრობენ, არ იძლევიან კვების, გათბობის და სხვა სასიცოცხლო პირობების შესაძლებლობას. ამიტომ საკვების და სათბობის მთელი მარაგი იყოფა ტომების წევრებს შორის. უბედურების დროს, არ ილუპებიან მარტო ცალკეული პიროვნებანი, ტომის ღარიბი წევრები. სიმშილობს მთელი ხალხი. ესკიმოსები არ ფლობენ მიწის განსაზღვრულ ნაკვეთებს და ამიტომ გამორიცხულია ომის გამომწვევი მიზეზიც — სახელდობრ, საშიშროება, რომ ერთი წაართმევდა მეორეს მიწას.

ერთი სიტყვით, ესკიმოსები მართლაც რომ ბედნიერნი არიან.

ქართველ მოხალისეთა ექსკურსია პარიზში

საინტერესო თემაზე

ციფრების წარმოშობის ისტორია

საგნების რაოდენობის განსაზღვრისათვის კაცობრიობა ძველთაგანვე სარგებლობს რიცხვებით, რომლის დამწერლობით ნიშანსაც წარმოადგენს ციფრი. ჩვენს დროში ციფრების გარეშე სრულიად წარმოუდგენელია რაიმე წესრიგის არსებობა. რიცხვი და ციფრი ეხლა ისე გავრცელებული და იმდენად ჩვეულებრივ საგნებს წარმოადგენს, რომ მათ წარმოშობაზე ბევრი სრულიად არ ფიქრობს. მაგრამ ციფრებისა და რიცხვების სისტემების შესწავლა კულტურის ისტორიის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოდ უნდა ჩაითვალოს.

ძველი დროში სხვადასხვა ხალხებს თავიანთი ინდივიდუალური სისტემები ჰქონდათ ციფრების ჩასაწერად. ციფრები თავისთავად წარმოადგენენ სიმბოლურ ნიშნებს. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო იმას, რომ თითქმის ყველა ხალხი სარგებლობდა ერთიდაიმავე ნიშნით. პრიმიტიული ხალხები ციფრებს დღესაც გამოხატავენ უბრალო ხაზებით და ნაჭდევებით. დილუვიალური პერიოდის ადამიანს უკვე ჰქონდა ნათელი წარმოდგენა რაოდანობაზე და რიცხვებზე, იცოდა დათვლა. იმ დროს ეხლანდელი არითმომეტრის მოვალეობას თითები ასრულებდნენ. ადამიანს მაშინ არ სჭირდებოდა სიტყვებით გამოეთქვა რიცხვების მნიშვნელობა. უფრო გვიან წარმოიშვნენ ნაჭდევებიანი დაფები, ძაფზე ასხმული ძვლები და ა. შ. ქვის ხანის არქეოლოგიურ განათხარებში ვხვდებით ძვლებს, რომლებზედაც დაჭდეულია ხაზების მწკრივები. ბრინჯაოს ხანის აღმოჩენებში, ხაზები უკვე გვხვდება სხვადასხვა ნივთებზეც. ზოგიერთი საგნებზე ნაპოვნია ისეთი ნიშნებიც, როგორიცაა V-ხუთისათვის (ხელის ფორმა), X-ათისათვის (ორი ხელი). ეს ნიშნები შემდეგში გადაიქცნენ ათწილადი სისტემის საფუძვლად. ეგვიპტელებს უხსოვარი დროიდან ჰქონდათ ნიშნები ციფრებისათვის. არსებობს ეგვიპტური არითმეტიკული წიგნი, რომლის შედგენასაც მიაწერენ 2.000 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

საინტერესოა ციფრთა ნიშნების წარმოშობის ისტორია საბერძნეთში. კრიტოსზე წარმოებულმა გათხრებმა მოგვცეს პასუხი ამ საკითხზე. მეტად საინტერესო ფორმის ნიშნები იხმარებოდა ათენის სახელმწიფოში 554-95 წლებში ქრისტეს დაბადებამდე.

ფინიკიელები სარგებლობდნენ პატარა ხაზების სისტემით. მხოლოდ მეხუთე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ წარმოიშვნენ არაბული ციფრები, რომელთა ფორმაც თანდათანობით სრულყოფილი ხდებოდა. ფიქრობენ, რომ არაბებმა ეს ციფრები გადმოიღეს ინდოელებისაგან, ამიტომ მათ უწოდებენ ინდო-არაბულ ციფრებს.

რომაული ციფრები შეიქმნენ ეხლანდელი იტალიის ტერიტორიაზე. არის აზრი, რომ მათს წარმოშობაში დიდი როლი შეასრულა უცხოეთის გავლენამ. პირველ ხანებში ციფრები ერთიდან ცხრამდე გამოისახებოდნენ ვერტიკალური ხაზების შესატყვისი რიცხვებით. ორი ჯვარედინი ხაზი ნიშნავდა ათს, ხაზების ორი ასეთი გადაჯვარედინება — ოცს, სამი — ოცდაათს და ა. შ. დიდი ციფრებისათვის, სხვადასხვა დროს იხმარებოდა ნიშნები — D, M და სხვ.

იმ დროს, როდესაც ზოგიერთ სიტყვას, მახვილის გამო, აქვს ორი ან მეტი მნიშვნელობა, ციფრების შრიფტი აბსოლუტურად ზუსტია. ციფრების გარდა, მათემატიკოსები ხმარობენ კიდევ სხვა სიმბოლურ ნიშნებს, რაც აადვილებს აზროვნებას. განუვითარებელი ხალხების ციფრები არ იძლევიან ამის საშუალებას. სამხრეთი ამერიკის კვახანის ტომის ინდოელები ეხლაც მხოლოდ ოთხამდე ითვლიან. ყველაფერს, რაც ოთხზე მეტია, ისინი უწოდებენ „მრავალს".

ციფრების ფორმამ და სიდიდემ საუკუნეების განმავლობაში მრავალჯერ შეიცვალა სახე.

გასართობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

ამოცანა N 6

გ. გ. კოკი



თეთრები: მფ d8, ეტ b3, მხ d3, პ პ c7, e5, f3.
შავები: მფ d5, პ d4.
შამათი ორ სვლაში.

ამოცანა N 5-ს პასუხი:
პc7 — c8 მხედარი

ნარევი

ფუტკრების ქალაქი

ფუტკრების ბუდე — ეს მთელი ქალაქია. ერთ ოჯახში ჩვეულებრივად ითვლება 80-100 ათასი ფუტკარი. თვითეულმა მათგანმა კარგად იცის თავისი მოვალეობა და კეთილსინდისიერათ ასრულებს მას.

ფუტკრების ოჯახი სცხოვრობს გარკვეული და ამასთანავე მკაცრი კანონებით. ეს კანონები მეტად რაციონალური და სამართლიანია, შრომის საუკეთესო ორგანიზაცია იძლევა შესაფერ შედეგსაც: ზაფხულის განმავლობაში ფუტკრების ოჯახი აგროვებს თაფლსა და სანთელს იმ რაოდენობით რომ იგი ოთხჯერ თუ ხუთჯერ აღემატება მათ წლიურ მოხმარების ნორმას.

ფუტკრების ოჯახში არ არიან არც ზედმეტნი და არც დაჩაგრულნი. აქ არიან შავი მუშები, კვალიფიციური მუშები, მშენებლები, წყლის მზიდავები, დამლაგებლები, დარაჯები, მზვერავები (ზვერავენ და პოულობენ ყვავილოვან ხეებს, წყალს და სხვა) და სამუშაოთა სხვა შემსრულებლები.

ფუტკრები კარგი მათემატიკოსებიც არიან. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ექვსწახნაგოვანი პრიზმა, რომლის ფორმაც აირჩიეს მათ თაფლის მოსაგროვებელ უჯრედებისათვის, — თავისი მოცულობით და სიმჭიდროვით, წარმოადგენს ჭურჭლის ყველაზე სრულყოფილ სახეს.

გაყოფის დროს, ფუტკრები პირველად ზრუნავენ მათთვის, ვინც რჩებიან ძველ სკაში. უმზადებენ მათ თაფლის დიდ მარაგს და მხოლოდ ამის შემდეგ მიდიან ახალ ადგილას.

*

სად იწყება გაზაფხული ყველაზე ადრე გერმანიაში?

კალენდარით გაზაფხული იწყება 21 მარტს, მაგრამ ანგარიში უნდა გაეწიოს არა ასტრონომიულ, არამედ კლიმატურ გაზაფხულს. ყველაზე ადრე იგი იწყება სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაში. მცენარეთა სამეფოს ზამთრის დასვენების პერიოდი არ არის ერთგვარი. რეინის ოლქში იგი გრძელდება საშუალოდ 60 დღე, ბრანდენბურგში — 90 დღე, მდინარე ოდერის აღმოსავლეთით, მეკლენბურგში და რიუგენის კუნძულზე — 110 დღე, აღმოსავლეთ პრუსიაში — 120 დღე და ა. შ. საგენერალ-გუბერნატოროში მცენარეულობა ისვენებს არა ნაკლებ 135 დღისა.

გაზაფხულის დაწყების უტყუარ ნიშანს წარმოადგენს ხეხილის აყვავილება. მაგ. ბერლინის რაიონში ხეხილის ჯიშები 14 დღით გვიან იწყებენ აყვავილებას, რეინის ოლქთან შედარებით.

*

როგორ აღმოაჩინეს ნეპტუნი?

ასი წლის წინათ, მზის სისტემის ყველაზე განაპირა პლანეტად ითვლებოდა ურანი. მისი მოძრაობის ზოგიერთმა უსწორობამ, მეცნიერები დააეჭვეს, რომ არსებობს კიდევ უფრო შორეული პლანეტა, რომლის მიმზიდველობის ძალაც აფერხებს ურანის თანაბარ სრბოლას.

ფრანგი ასტრონომის ლევერიეს ბრწყინვალე მათემატიკური გამოკვლევებით შესაძლებელი გახდა ამ ახალი პლანეტის ნეპტუნის აღმოჩენა.

შეამოწმე შენი ცოდნა

ვინ და როდის გამოიგონა?

1. ბენზინით მომუშავე ავტო-მანქანა?
2. კინემატოგრაფია?
3. წიგნის საბეჭდი მანქანა?
4. ჯიბის საათი?
5. ბარომეტრი?

მთავარი რედაქტორი
ახმეთ. გაი მაღლაკელიძე
რედაქციის მისამართი:
Georgische Zeitung „Sakarthwelo".
Berlin W 7, Dorotheenstraße 64

ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა

შენილბვა თანამედროვე ომში

შენილბვას თანამედროვე ომში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მტრისაგან თავის დაფარვის ამ ხერხს, ომამდე ადრე მიმართავდნენ სხვადასხვა ქვეყნები. მსხვილი სამხედრო შენაერთების შენილბვის პირველი ცდა ეკუთვნის იაპონიას, რომელიც რუსეთთან ომის დროს სცდილობდა თავისი სამხედრო საჭურველი და ტანსაცმელი შეეხამებინა ადგილმდებარეობისათვის. ეს ანიჭებდა იაპონიის არმიას უპირატესობას, რუსულ არმიასთან შედარებით, რომლის ტანსაცმელი და საჭურველი ადვილი შესამჩნევი იყო. გერმანული ყვითელი ფერის ტანსაცმელი, რომელიც მიზნად ისახავდა შენილბვას, პირველად შემოღებული იყო კოლონიალურ ჯარებში. ბოქსერთა აჯანყების დროს ჩინეთში, გერმანიის ჯარებს, რომელსაც მეთაურობდა გენერალ-ფელდმარშალი ფონ ვალდერზეე ჰქონდათ ისეთი შენილბული ტანსაცმელი, რომელიც შეესაბამებოდა ადგილობრივ პირობებს.

მსოფლიო ომის წინ საავიაციო საქმე დღითიდღე მიდიოდა წინ, სამხედრო წრეებმა სცნეს მისი დიდი მნიშვნელობა მომავალ ომში. გაითვალისწინეს რა მიბმული აეროსტატების გამოყენება სადაზვერვო საქმისათვის გერმანელებმა შემოიღეს ნაცრისფერი საველე ფორმა სახმელეთო ჯარის ყველა ნაწილებისათვის. მობილიზაციის დამთავრებისთანავე, გერმანიის არმია მტერს შეხვდა ნაცრისფერი საველე ფორმით. მაშინ როცა აღმოსავლეთში და დასავლეთში თითქმის ყველა არმია გადავიდა შენილბვაზე, საფრანგეთის ჯარში ხშირად შეხვდებოდით წითელ შარვლიან ჯარისკაცებს, რომელიც საუკეთესო ნიშანს წარმოადგენდა გერმანელი ფეხოსანი ჯარისკაცისათვის. ავიაციის ძლევამოსილად განვითარებამ დააყენა საკითხი შენილბვის რაც შეიძლება ფართოდ გამოყენებისათვის. ომის განმავლობაში მეომარი ქვეყნები მივიდნენ იქამდეც კი, რომ დაიწყეს ფურგუნებისა და ავტომანქანების მწვანედ შეღებვა, მიწისფერად შეხამება, რათა პირველ შესაძლებლობისთანავე შეეხამონ ადგილმდებარეობას. ინგლისის პირველი ტანკები უკვე შენილბული იყვნენ ასეთი შემხამებელი ლაქებით.

შენილბვა ამჟამად ერთობ განვითარებულია და წარმოადგენს ერთერთ უმნიშვნელოვანეს სამხედრო ღონისძიებას. იგი დიდ როლს თამაშობს საერთოდ არა მარტო ჯარების გადაადგილებისა და მოძრაობის დროს, ან კერძოდ ცალკეულ მებრძოლის მოქმედებისას, არამედ სამხედრო საავიაციო შენაერთებისათვისაც, რომელმაც უნდა დაიცვას თავისი ჰაეროდრომები, საფრენოსნო გზები მტრის დაზვერვისაგან და საჰაერო თავდასხმებისაგან. ცნობილია, რომ ბუნკერები და შორსმსროლელი ქვემეხები ხშირად გამოიყურებიან ისე, როგორც გლეხის ჩვეულებრივი ქოხები, ან ბუჩქნარები, იმ ლაქების შემწეობით, რომელიც მათზეა გაკეთებული. ფურგუნები და ავტომანქანები ზაფხულში ირთვება ხის ტოტებითა და ფოთლებით, ხოლო ზამთარში იღებება თეთრად. ამავე მიზანს ემსახურება თეთრი ტანსაცმელი, რომელიც ხშირადაა ხოლმე გამოყენებული. შენილბვას საჭიროებს აგრეთვე ხმაურიც, მაგალითად ტანკის თვლების ჯავშნის ლენტის ხმა, რათა იერიშზე გადასვლისათვის სამზადისი ადრე არ შეიტყოს მტერმა. ყველა ეს მაგალითები ერთეული შემთხვევებია შენილბვის პრაქტიკიდან. თანამედროვე ომის განმავლობაში, მებრძოლი არმიების მოქმედების დროს ვლინდება შენილბვის ახალი ხერხები, რომლებიც განუწყვეტლივ იცვლებიან და სრულქმნილნი ხდებიან.

ლეგ. თ. მ.